№ 147. 15 Ივლისი, Ოთხშაბათი. 1866—1881 15 Ივლისი, Ოთხშაბათი. № 147.

# ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვეშით.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲐᲡᲘ

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ

დიდი ასოებით ასოზე [illegible] კაპ., [illegible] ასოთი მოწვრილით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდინ

## ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ცალკე ღირს — ხუთი მანეთი

## ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ერთად „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“ და „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ რვა მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, Თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ზ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ვისაც 5 მანეთის მეტი არ შემოუტანია რედაქციაში გაზეთის ფული, 1 ივლისიდამ მოესპობათ გაზეთის გზავნა.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

## ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐ

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 9 ივლისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95 | 75 |
| მეორესი — — — — | 94 | 37 |
| მესამესი — — — — | 94 | 75 |
| მეოთხესი — — — | 94 | 37 |
| Აღმოსავლეთის პირვ. — | 91 | 62 |
| Აღმოსავლეთის მეორე | 91 | 75 |
| Აღმოსავლეთის მესამე | 91 | 87 |

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 82 |
| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | | |
| პირველი სესხის — — | 222 | 75 |
| მეორე სესხის — — — | 222 | 75 |

| 1 მანეთი ღირს: | | |
|---|---|---|
| Ლონდონი — — | 25—15 | პენსი |
| ბერლინი — — | 265—50 | პფენიგი |
| ჰამბურგი — — | 215—25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 265—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

ᲤᲘᲚᲝᲥᲡᲔᲠᲐᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲐᲖᲔᲓ

თბილისი, 14 ივლისს.

Ორ კვირაზე მეტია, რაც პირველად გავარდა ხმა, რომ ჩვენშიაც, სოხუმის მაზრაში, გაჩნდა ის საშინელი მტერი ვაზისა, რომელმანც ევროპის ვენახები და ღვინის წარმოება თითქმის გაანახევრა და ბევრგან სრულებით აოხრა, გაახმო და მოინელა მშვენიერი, ძვირ-ფასის ღვინის ვაზები.

Გასაკვირველია, რომ ეს ფილოქსერის ჩვენში გაჩენის ამბავი ჯერ ოფიციალურად არც კი გამოუცხადებიათ. Ეს შევიტყეთ ჩვენ პირველად იმ პატარა შენიშვნიდგან, რომელიც გაზ. „კავკაზში“ იყო დაბეჭდილი და რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ აგრონომები ხოჯაევი და ზეევსკი სოხუმიდამ ტელეგრამმით გვაცნობებენო, რომ იქ, ველენსკის ბაღში, იმათ ფილოქსერა აღმოუჩენიათო.

შემდეგ, აგრეთვე კერძოდ, შევიტყეთ, რომ, ფილოქსერის მოსასპობად, ეს ველენსკის ბაღი დაუწვავთ და მერე ზედ წყალი მიუშვიათ. Ამბობენ, ამას წინათ, რომ Ყირიმში ჩვენებური ყმაწვილ-კაცები იყო გაგზავნილი ფილოქსერის შესასწავლად, ისინი მოიხმეს სოხუმში და ახლა იქ მუშაობენო; მაგრამ ამასაც მხოლოთ „ამბობენ“ და ნამდვილი, ოფიციალური ცნობა ჯერ არაფრისა არა გვაქვს. Არ ვიცით—მარტო ერთს ველენსკის ბაღში აღმოჩნდა ფილოქსერა, თუ სხვაგანაც. Არ ვიცით-რა საშუალებას ხმარობს მთავრობა, რომ ეს საშინელი სენი ვაზისა სოხუმის მაზრიდამ სხვა, ახლო-მახლო მაზრებშიაც არ გავრცელდეს. Არ ვიცით — ვისა აქვს სოხუმში მინდობილი ამ მძიმე საქმის თაოსნობა და არც ის — თუ რა საშუალებით, რა ღონის-ძიებით ებრძვიან ფილოქსერას.

Ყველა ამის საეროთ გამოცხადება და ხალხის ყურამდინ მიღწევა მით უფრო საჭიროა, რომ მარტო მთავრობა, მარტო ადმინისტრაცია ამგვარს საქმეში ბევრს ვერას გაარიგებს, ვერ შეიძლებს საერო მტრის თავიდამ აცილებას, მოსპობას თუ ხალხი და საზოგადოება არ დაიხმარა, თუ ამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითონ ხალხმაც არ მიიღო მონაწილეობა.

Ამაზე უფრო გასაკვირველი კიდევ შემდეგი გარემოებაა:

Ამ ნახევარის წლის წინათ, როდესაც ამბავი მოვიდა, რომ Ყირიმში ფილოქსერა გაჩენილაო, ჩვენში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებიმ ერთი ფაცა-ფუცი შექმნა, გამოიღვიძა თითქმის, დანიშნა კრებები, დაიწყო სჯა თუ როგორ დაცდინოს თავიდამ კავკასიას ეს ვაზის ჭირი, რა ღონის-ძიება, რა საშვალება იხმაროს და სხვ. და სხვ.

Მაშინ, სხვათა შორის, საზოგადო-

«ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ, 15 ივლისს.

### ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲛ ᲧᲕᲐᲠᲚᲐᲛᲓᲘᲜ.

(მგზავრის შენიშვნები)

Კარგია თავ სუფლება! Უფრო კარგია მაშინ, როდესაც იგი მოხმარებულია სასარგებლოდ... რა არის იმაზედ სასიამოვნო, როდესაც, ათის თვის დაურცხრომელის შრომის შემდეგ, განთავისუფლებული ადამიანი გაუდგება სოფლისაკენ თავისის ხალხისა და სამშობლოს გასაცნობად; როდესაც კაცი მგზავრობას, აკვირდება ხალხის ცხოვრებასა. Დიაღ, კარგია და სასარგებლოა გაცნობა შენის ქვეყნისა და შენის ხალხის ავ-კარგიანობისა და საჭიროების გაგება... Თუმცა შენ დროებით შორდები შენს გულითადს მეგობართა და ეს გარემოება ცოტა-არ-იყოს აწაღვლიანებს შენს გულსა, მაგრამ მოგზაურობა ტურფა კახეთში და დრო-გამოშვებით მოგონება მეგობრებთან სიამოვნებით გატარებულ დროისა ახალისებს გულსა. მერე, რა კარგია ორი-სამის თვის განშორებულთ მეგობართ შეხვედრა!

15-ს თიბათვის „დაგვითხოვეს“ და 16-ს—კი დავტოვე Თელავი და დავადექ Ალაზნისაკენ მიმავალს გზა-ტკეცილსა.

Მზე გარგა მაღლა იყო წამოსული, მაგრამ „Ცივი“ მაინც თავისას არ იშლიდა: იგი ჰგზავნიდა საამურს ნიავს ყველა დამაშვრალთათვის... Კავკასიის მთის წვერნი აჭრელებულნი მოჰჩანდნენ: მათზე მდებარე თოვლი ამ ერთის კვირის სიცხეებს საკმაოდ შეეთხელებინა.

Გზაზედ, აქა-იქ ძნით დატვირთული ურმები მოჭრიალებდნენ. Მინდორში ყანის მუშის ხმაურობა და გუგუნი გაისმოდა. Ხიდამდინ ორიოდე „გამარჯვება-გაგიმარჯოს“ მეტი არ მითქვამს კანტი-კუნტად მიმავალ მგზავრთათვის. Ხიდზე მუშა იდგა. Ცხენი დავაბი და მუშებისკენ გავემართე. Ნახევარზე მეტი მუშა ხალხი უსაქმოდ იდგა, თუ ისხდა, ვინც მუშაობდა, ისიც უნდომლად. Ქვა ურმებით მიჰქონდათ და მიაქვსთ 10-15 ვერსის მანძილიდამ, რადგანაც Ალაზანში მსხვილი ქვა არ არის. Მაგრამ თვითო ურემზე 5-8 ქვის მეტი-კი არ ედვა. Ერთს შაქრიანელს, რომელსაც ურმის ფერსო გაჰსტეხოდა და აკეთებდა, ვკითხე მუშის რაოდენობა. Მიპასუხა: —რას ბრძანებ, პატრონი ვინ არის ან ზედამხედველი! Მესამედი ხალხი არასფერს აკეთებს, ნახევარი შინ არის წასული ზედამხედველთა ნება-რთვით.. Თვითონ მე მივეცი ჩაფარს ერთი ჩაფი ღვინო და შინ დამითხოვა. Ყველას, ვინც შინ მოინდომებს წასვლას, ასე ართმევენ და აბა რაღა მუშაობა იქმნებაო... მეორემ მითხრა:—ჩაფარმა ნ. მ. და ბ. პ—მა მეცხვარეებისაგან ძალათ ბაჟი აიღეს, რადგანაც ცხვარი დიდს ხიდზედ გამოატარესო და მეცხვარეთ კიდეც იჩივლეს ნაჩალნიკთანაო. Მესამემ მითხრა:—ჩვენი ზედამხედველი სახრითა გვცემს, როგორც პირუტყვებსაო. Აკურელებმა მწუხარებით მითხრეს:—ნეტავი ორ-ორი თუმანი შეეწერათ კომლზედა და არ-კი მოვეცდინეთ ამ დროს: მკა, თოხნა, ლეწვა ყველაფერი ეხლა არის და ჩვენ-კი ვსცდებითო. როგორ შევინახოთ ცოლ-შვილი, ან ხელმწიფეს რით უნდა გავსცეთ პასუხიო!..

Ორ თვეზედ მეტია, რაც ხიდზედ კახეთის ხალხი მუშაობს. Ურმის, საქონლის, მუშის ქირა და ხარჯი რომ ვიანგარიშოთ, შემცდარი არ ვიქნებით, ვჰსთქვათ: ამ ორს თვეში ხიდის შეკეთებამ კახეთს ხუთი ათას თუმანზედ (50,000 მ.) მეტი ზარალი მოუტანა! მერე, ახლა, თავს დაიჭერს ხიდი?—Არა მგონია! Არა. Და ამოდენა ხარჯმა, შრომამ, ხალხის მოცდენამ მუქთად, უნაყოფოდ უნდა ჩაიაროს!. Დარწმუნებით შეიძლება ვჰსთქვათ, რომ ამ ფულით ორი თუ არა, ერთი საუკეთესო თუჯის ან რკინის ხიდი გაკეთდებოდა. რა არის, ამოდენა მუქთად შრომა გლეხთა, რატომ ვისიც ჯერ-არს არ იშვამდგომლებს მთავრობასთან, რომ ერთი რკინის ხიდი გააკეთოს, მთავრობამ ქირა-ბაჟით აიღოს დახარჯული ფული. Ნუ თუ ყოველს მოკლებული კახეთი ხიდის ღირსიც აღარ გახლა?! რას გვიკეთებენ კახელნი დაწინაურებულნი გვამნი-ჭკვიანა-

ებამ გარდაწყვიტა, რომ რუსულს, ქართულს თათრულს და სომხურს ენებზე გამოსცეს პატარა სახალხო ბროშურა—დარიგება, რომელშიაც აწერილი იქნეს ფილოქსერა და აგრეთვე მოყვანილი ყველა ის საშვალება, რომლის შემწეობითაც შეიძლება იმის მოსპობა. საზოგადოების გარდაწყვეტილებით, ეს ბროშურა რამდენიმე ათასი ეგზემპლიარი უნდა დაებეჭდათ ზემო ჩამოთვლილ ენებზე და მუქთად დაერიგებინათ ხალხისათვის.

დიდი ბაასი და ბევრი მსჯელობა იყო ამ ბროშურის შედგენის თაობაზედ. ბოლოს როგორც იქნა, ბროშურა შეადგინეს და დაბეჭდეს... თავიანთ პროტოკოლებში, რომელსაც 200 ეგზ. ჰბეჭდენ, მგონია, და ოცი კი არავინა ჰკითხულობს. ბროშურა შერდგენილია რუსულს ენაზე; ის არ გადაუთარგმნიათ არც ქართულად, არც თათრულად, არც სომხურად; არ გამოუციათ ცალკე წიგნათ და არც დაურიგებიათ ხალხისათვის.

მართალია, ჩვენ „დროებაში“ და „კავკაზის“ რედაქციამ, ჩვენს გაზეთში, ჩვენის ნებით დავბეჭდეთ ეს დარიგება ფილოქსერაზედ, მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენში გაზეთები ჯერ ისე არ არის გავრცელებული, რომ გაზეთში დაბეჭდილი რამ მთელმა ქვეყანამ გაიგოს და ამით ისარგებლოს.

ამ შემთხვევაში საჭირო იყო მთელს კავკასიაში გავრცელება წიგნისა, საჭირო იყო სოფლის კანცელარიებში, მღვდლისა და ყველა წერა-კითხვის მცოდნე პირთა მოწვევა დასახმარებლად, და ამისთვის საჭირო იყო, რომ სამეურნეო საზოგადოებას, როგორც გარდაწყვიტა, კავკასიის უმთავრეს ენებზე მაინც გადაეთარგმნა ეს ბროშურა, რამდენიმე ათასი ეგზემპლიარი დაებეჭდა და მუქთად დაერიგებინა ხალხისათვის, და არა თავის პროტოკოლებში დაბეჭდვა და წნილად დასამჟავებლად შენახვა...

მართალია, ამას ცოტა მომეტებული ხარჯი მოუნდებოდა; მაგრამ რა არის მომეტებული ორასი და სამასი მანეთი იქ, სადაც სხვა-და-სხვა ბახჩებისა და კუჩენბახებისათვის ყოველთვის მზათ არის ჩვენს მეწველ ძროხა—ხაზინაში, ორასი და სამასი მანეთი კი არა, ორი და სამი ათასი თუმნები!

ახლავე, დაუბრკოლებლივ საჭიროა, რომ ხსენებულმა საზოგადოებამ დააბეჭდვინოს ქართულად მაინც (რადგანაც ჯერ-ჯერობით ფილოქსერა საქართველოს მხარეს მოადგა) ის ბროშურა და დაუზოგავად დაურიგოს სამეგრელო-იმერეთში სოფლის კანცელარიებში, მღვდლებსა და წერა-კითხვის მცოდნეთ. ამას გარდა საჭიროა ახლავე რიგიანი გამოკვლევა მოახდინონ, სოხუმს გარეშე სხვაგანაც ხომ არსად არის ფილოქსერა და თუ არის, იქაც ისეთივე მსწრაფლი საშუალება იხმაროს იმის მოსასპობად, როგორც სოხუმში. ერთის სიტყვით, ადმინისტრაცია, სამეურნეო საზოგადოება და თვითონ ხალხი ერთად, ენერგიულად უნდა შეუდგნენ ამ საქმეს, და მხოლოთ მაშინ შეიძლება რამე დააკლონ ამ ქვეყნის დამაზარალებელ, საშინელ მტერს.

## ახალი ამბები.

დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომ საქალებო ინსტიტუტის რჩევის წევრი თ. სიდომონოვ ერისთავი, თავის თხოვნით, დათხოვნილია ამ თანამდებობიდამაო, რადგან იმის შესახებ, დასჯათა წესდების 354 მუხლის თანახმად დანიშნულია გამოძიებაო. ამის მოადგილეთ დაინიშნა მთავარ სამმართველოს ბუღალტერი მულინი.

ამის მეტი, საქალებო ინსტიტუტისა და წმ. ნინოს სასწავლებელში დაკარგულ 150,000 მანეთის შესახებ, ოფიციალურად ჯერ არა გამოცხადებულა-რა.

* * *

რამდენსამე აქაურ ახალ-გაზდა სომეხს შეუდგენიათ პროექტი ახალის საზოგადოებისა, რომელსაც ჰქვიან სახელად „სომხური კეთილ-მომქმედი საზოგადოება კავკასიაში“. ეს პროექტი ამ თვის 6-ს დაუმტკიცებია უმაღლეს მთავრობას და შემოდგომაზე ამ საქმის თანამგრძნობთ ტფილისში ექნებათ საზოგადო კრება, რომელიც გამგეობას ამოირჩევს საზოგადოებისას და შემდეგ მოქმედებას დაიწყებს.

წესდება ამ სომხის ახალ საზოგადოებისა თითქმის ისეთივეა, როგორიც ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა,“ მხოლოთ ცოტათი უფრო მომეტებული, ფართო ასპარეზი აქვს მოქმედებისა. მაგ., ახალ სკოლების გამართვისა, ძველის დახმარებისა, წიგნების ბეჭდვისა, ბიბლიოთეკების დაარსებისა და სხვ. ამ საზოგადოებას აქვს უფლება ხელოსნობა გაავრცელოს ხალხში, გამართოს საავათმყოფოები და სხვა-და-სხვა გაჭირების დროს (შიმშილის, ცეცხლის და სხვ.) ხელი მოუმართოს თანამოძმე სომხებს.

* * *

ერთი მცხოვრები ქ. სოხუმისა თ. ერისტო ემუხვარი გვთხოვს მადლობა გამოვაცხადებინოთ გაზეთში სოხუმის ფოჩტის კანტორის უფროსისა და იმის თანაშემწისათვის, რადგან ამ კანტორაში დამრჩა ქესა, რომელშიაც 190 მან. ფული იდო, და ამ ჩინოვნიკებმა დაუფარავად და სრულად ჩამაბარესო, თუმცა რომ დაკარგულიყო, იმათ სრულიად ვერ დავაბრალებდი: იმისთანა ადგილას დამრჩა, სადაც ვარეშე ხალხი მუდამ მიდი-მოდიოდაო.

* * *

ჩვენ გვთხოვენ შემდეგი ამბავი დავბეჭდოთ გაზეთში:

„სიღნაღიდამ ქალაქს მოვდიოდი ამ თვის 5-სა მოველი მუღანლოს სტანციაში და რადგან იქ დამიღამდა, მსურდა დავრჩენვიყავ იმ ღამეს; ამას გარდა მითხრეს, იმ გზებში ძლიერ საშიშო არისო ღამით სიარული.

„მაგრამ სტანციის ზედამხედველმა გამომიცხადა, რომ სასტუმრო ოთახში ვერ მოისვენებო, მიტომ რომ ძლიერ საშიშო არისო, კედლებიდამ ამოდიან მავნებელი მწერები და ქვემძრომიო, ესე იგი განსაკუთრებით მორიელი და გველებიო!

ამის გამგონი, რასაკვირველია, იქ ღამის გათევას ვერ გავბედავდი და გამოვემგზავრე.

„მგონია, ეს გარემოება ყურადღების ღირსია“...

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთში მე-100 №-ში დაბეჭდილი იყო ჩემი კორრესპონდენცია, ლუკა ჯულელის თავის დახრჩობისა და სვირელების ახლად გამართულ სკოლის მასწავლებლების გამოგზავნის თაობაზედ. ვფიქრობდი: ეს საქმე ვისაც შეეხება, საზოგადოების წინაშე ამ საყვედურიდამ თავს გაიმართლებს-მეთქი; მაგრამ არ ინება; უბრალო სოფლის ჭოლევის საქმემ კი აღებინა ამათ კალამი ხელში.

ვისაც ეს საქმე შეეხებოდა, მე ვსთქვი ჩემს გულში, ისაშუალებს და დოქტორს გამოგზავნის სვირში, გააჭრევინებს მიცვალებულის გვამს და იქნება წირვა-ლოცვის ნება მიეცემო-

---

ძენი, ჯორჯაძენი, ჩოლოყაშვილები? დიდი საქმეა მათთვის ორის სიტყვის დახარჯვა ხიდის გაკეთებაზედ?

აბა რომელმა დაწინაურებულმა კახელმა თავადმა მოუტანა თავის სამშობლოს შეძლების კვალად სარგებლობა?—არც-ერთმა! რკინის გზაზედ იყო საქმე,—ხმა არ ამოიღეს; ალაზნიდგან არხის გამოყვანაზედ იყო, ყურებს არ იბღერტენ; სამეურნეო სკოლაა—თავს მაღლა არვინ იღებს; გომბორის გზაა-და დაუსრულებელი შეიქნა? მაგრამ... რაღა მაგრამ, რომ ჰმ!.. გაჯავრდებიან...

ხიდზე, მგონია, ყველა წოდების ხალხი დაიარება და რა დაშავეს გლეხთ, რომ მხოლოდ ამათ ამუშავებენ? განა სხვა წოდების ხალხს საქონლით შველა მაინც არ შეეძლოს. ალაზნის ჭალის პატრონმა თავადებმა ხიდისათვის ფიჩხიც არ მოაჭრევინეს; ერთმა თავის მინდორზედ დაბანაკება აღუკრძალა ბევრის ხალხსა. აი, ასეთი საზოგადო საქმის შემწე თავადები გვყავს!..

სოფ. შაქრიანის ვენახები და ნამეტნავად ყანები ისე ნაირად დასეტყვილან, რომ ზოგიერთის პატრონი მარცვალსაც ვერ გამორჩება. მოდი შენა და ამ გვარად დაზარალებული ხალხი კიდევ ბეგარაზედ გაიყვანე!

აი გრემიც, რომელიც დასდვა კახეთის სატახტო ქალაქად მეფე გიორგი I-მა (იგივე ლევან) 1471—1492 წ. ამ ქალაქის დიდების მოწმად მრავალი ნანგრევებია და მშვენიერი მთავარ-ანგელოზის ტაძარი, აღშენებული კახთა მეფის ლევანისაგან 1520—1574 წ. ეკკლესია მთლად დახატულია ჩინებულის ხელობით, მაგრამ მრავალგან ჩამოხოკილია მტერთაგან. გარს ავლია მაგარი ციხე-გალავანი შესანიშნავის გვირაბით მდ. ინწობამდე. ქ. გრემი დაანგრია შაჰ-აბაზ I-მა 1617-ს წ., როდესაც გარდაასახლა კახეთიდამ 30,000 მცხოვრები დიდის თეიმურაზის დროს (1605—1664 წ.).

გავედი მდ. ჩელთსა, რომელზედაც მდებარეობდა ქ. ჩელეთი, მამასახლისების დროს. ცოტა ზემოდ მდებარეობს მცირედი ქედი—კონცხი, სადაც 1812 წ. მოხდა ბრძოლა რუსთა და შილდელთ შორის... აი, დევუპირდაპირდი ნეკრესის მონასტერსაც, სადაც იღვწოდა ერთი ათცამეტთა წმიდათაგან აბიბის ცეცხლ-თაყვანისმცემელთ წინააღმდეგ მე-V საუკ. ვახტანგ I გორგასლანის დროს (446—499). მე-XVIII საუკ. აქ ნეკრესელობდნენ: ჩინებული მჭევრმეტყველი-მქადაგებელი ამბროსი და ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი დოსითეოზ ჩერქეზისშვილი. მონასტრის დაბლა ყურეში საურმაგ მეფემ (237—162 ქრ. წინ) აღაშენა ქ. ნელაკრისი, რომლის ადგილასაც აწ ვხედავთ ერთის შენობის ნანგრევსა, როგორც ნაშთსა უკანასკნელ აღყვავებისასა (სულხ. ბარათაშვილი)... მივედი „კუდი გორასთან“, ამ ოდესმე ყაჩაღთა საფართან. უნებლიეთ მომაგონდა ილიას პოემა — „სურათები ყაჩაღის ცხოვრებიდამ“.. თუმცა შებინდებულიც იყო, ურმებიც მოჭრიალებდნენ ყვარლისაკენ კუდი-გორასთან და მათზედ მეურმენი „მწუხარს სიმღერასაც დაჰღუღუნებდნენ“, შოლტებსაც უტლაშუნებდნენ ხარებსა, მაგრამ კუდი-გორასთან დაბურულის ტყის მაგივრად ამ ჟამად შეთხელებული ჯაგნარი-ღაა და „მხედარისა“ და კაკო ბლაჭიაშვილის მაგივრად—რამდენიმე ყვარული მეძროხე მიელალებოდა ძროხას ჭალისაკენ... დიაღ, დრო გამოიცვალა; ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „რაც გინახავს, ველარ ჰნახავო“... პოემა „ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ ერთად-ერთი მაგალითია, სადაც ილია ჭავჭავაძე აღგვიწერს თავის სამშობლო ყვარლის ბუნებასა, ისიც ფრიად მცირედ.

ყვარლის ცხოვრებაში ბევრი შესანიშნავი მხარეები მოიპოვება და აქაურის ხალხის ცხოვრებიდან ბევრი პოემა ანუ მოთხრობა დაიწერება; მაგ. ყვარლის ცხოვრებაში შენიშნულია ეხლაც: ზნეობით დაცემა, დაჩაგრულობა, დამჩაგვრელი ძალა და სხვ. და სხვ.

ყვარელზედ ვრცლად 1879 წ. „ივერიის“ მესამე წიგნში იხილეთ; ეხლა კი ყვარლიდამ გაცნობებთ საკორრესპონდენციო ამბებსა.

მშვენიერი ყვარლის შუა დიდი

და საწყალს; მაგრამ ჯერ არაფითარი განკარგულება არ არის.

მთელი სვირის საზოგადოება კი ძრიელ სწუხს ამ კაცის ესრეთ მდგომარეობაში ყოფნას. რუსებმა იციან: „სიჩუმე თანხმობის ნიშანიაო". სწორეთ ეს საქმეც ამ ნაირათ წავიდა. ან კი დოქტორს საიდგან გამოგზავნიდნენ, როდესაც, როგორც გავიგე, ამ დამორჩილი კაცის თაობაზედ, თუ რამე მიწერ-მოწერა იყო გამართული, სულ ერთიან ქუთაისის მაზრის უფროსის ერთ მოსამსახურე პირს დაუწვავს. ახლა ცდილობენ, რომ ხელ-მეორეთ მიწერილ-მოწერილი საქმეების პირები იშოვონ და საქმეს მსვლელობა მისცენ.

არ დავეძებ, რა ნაირათაც უნდათ და რა საშუალებითაც სურსთ, ერთი მიხედონ ღმერთს, დოქტორი გამოგზავნონ, შეამოწმონ და იქმნება წირვა-ლოცვის ნება მიეცეს და მიზეზი ვინც იყოს ამ დახრჩობისა ნუ დაიფარება.

რამდენი სხვა-და-სხვა გვარი შენიშვნეები იწერებიან ჩვენი „დროების" ფურცლებში, მაგრამ საქმის რიგზედ წაყვანა ვისაც შეეხება ნახევარჯერ ყურს არ უგდებენ? ძრიელ მიკვირს: კაცის დახრჩობა, გაცარცვა, სიკვდილი, მიხტომა, ღამე თავზედ დაცემა, ეზოების და ხიდებ-ბოგირების უვარგისობა და ამისთანა მრავალი იწერებიან სოფლებიდამ გაზეთებში, მაგრამ ვისაც პირ-და-პირ ეს საქმე შეეხება, ხმას არ იღებს. იქნება ქართული წაკითხვა არ იცის, თავის ხელქვეითმა წაუკითხოს და შეატყობინოს.

ლუკა ჯუღელის თავის დახრჩობის საქმე რომ გაეგო ღუბერნატორს, როგორ დავიჯერო საყვედურს არ ეტყოდა ქუთ. მაზრის უფროსს, და განკარგულებას არ იქდა იგი!

ამას გარდა შორაპნის მაზრის გზების, ხიდ-ბოგირების უვარგისობა ეწერა, ესეც ძნელათ მოსაფიქრებელია, შორაპ. მაზ. უფროსმა, რომ ქართული კითხვა იცოდეს, ამ საქმის შესახებ რაღაცა განკარგულებას იქდა.

ჩვენი ჯღაბნით გვინდა რამე სარგებლობა მოუტანოთ, თორემ დროება, ტყუილა რად ვკარგავთ წერით? მაგრამ როდესაც იქმნება, შეიტყობენ ჩვენი მოხელე პირებისა და სხვ. ნაკლულევანებას. ერთი ფეიქრის არ იყოს: ორი ძმა იყო, ერთი ფეიქარი და მეორე ქურდი; ფეიქარს თავის ცოლი ეუბნებოდა: — ე კაცო! შენი ძმა რომ შოობს სხვა-და-სხვა მასალეებს, ასრე იშოვეო? ფეიქარი გააგდებ-გამოაგდებდა მაქეს და ამბობდა: „ჯერ არ შეუტყვიათო"! როდესაც მისი ქურდი ძმა დაიჭირეს, ფეიქარმა გააგდო მაქო და თავის ცოლს უთხრა „ეხლა შეუტყვიათო"! ესრეც თქვენი საქმე იქმნება, ჩემო კეთილებო.

სვირელი.

# რუსეთი

— გაზეთი **ნოვოსტი** სწერს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარია კამისია, მინისტრის თანაშემწის თავს-მჯდომარეობით, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს ებრაელების მდგომარეობა რუსეთში. ესევე კამისია განიხილავს ებრაელების მდგომარეობის შესახებ ბ. მარგოლისის მიერ წარდგენილ წერილს, რომლის შედგენა მინდობილი ჰქონდა მას ბარონ გინცბერგისაგან.

— **ორიოლსკიში** სწერენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვსო სახალხო გაზეთი გამოსცეს.

— ერთ საზარელ ამბავს სწერს გაზეთს **რუსკი კურიერს** საკუთარი კორრესპონდენტი, რომელიც მომხდარა ერთ სოფელში, სადაც ყოფილა შაქრის ქარხანა. აი რას იწერება კორრესპონდენტი:

„ამ ქარხნის ახლოს 800 დესიატინაზე დათესილია ჭარხალი, რომლის მოსაკრეფათ მოიწვევა ხოლმე რამდენიმე ასი ახალ-გაზდა ქალი ახლომახლო სოფლებიდამ. ესენი ყველანი ღამეს ათევდნენ გარეთ სარაიაში. ამბობენ, სარაიას ჩაკეტის ბრძანება მისცა ქარხნის მართველმა, რომ ქალები არ გაიპარონ ღამე ბიჭებთან საქეიფოთო. ღამით ჩვეულებრივ, მოვიდნენ ბიჭები ქალებთან დროს გასატარებლათ, მაგრამ კარები ჩაკეტილი დახვედრიათ. ბიჭები გაანჩხლებულან, რათ ჩაიკეტეს კარებიო და რათ არ უნდათ მათთან დროს გატარებაო და წაუკიდნიათ ცეცხლი სარაისათვის... ერთბაშათ მოედვა ალი სახლს და ჩაკეტილი ქალები, რომელთაც არავითარი საშუალება არ ჰქონია თავის დახსნისა,—ყველანი შეიქმნენ ცეცხლის მსხვერპლად. ზოგიერთები ამბობენ, რომ ცეცხლის მსხვერპლად შეიქნა **ასი** ქალიო, მაგრამ უფრო ხშირად მესმოდა—ამათი რიცხვი **ასოც-და-ცხრა** არისო. ბიჭების რიცხვი, რომელთაც ეს საზარელი საქმე ჩაიდინეს, სულ **შვიდი** არის; **ოთხი** ამათგანი უკვე დაიმალაო, **სამი** კი დაიჭირეს იქვე და ერთი იმათგანი გადავარდა იქვე მდინარე წყალში".

გაზეთი **ტრუდ** ამ უბედურების მიზეზს ჰხედავს ამაში, რომ ამ დღეს ქალებს უარი უთქვამს მუშაობაზედ, რადგანაც ცუდ საჭმელ-სასმელს აძლევდა ქარხნის პატრონიო, და როდესაც ისინი სადილ ის შემდეგ წასულან სარაიაში დასასვენებლათ, ქარხნის მმართველს ჩაუკეტნია, გასაღები თან წაუღია და სადღაც წასულა. ამ დროს ბიჭებს ცეცხლიც წაუკიდია. დაიწვა **ას-ცხრამეტი** ქალიო დიდი და პატარა.

# უცხოეთი

**ამერიკა.** ვაშინგტონიდამ იწერებიან 5 ივლის: გარფილდი ამ ჟამად ისე კარგათ არისო, რომ ექიმებს იმის მორჩენის იმედი აქვთო.

— ნიუ-იორკიდამ იწერებიან, რომ 4 ივლისს ნაშუა დღევს საშინელ ქარს დაუნგრევია თითქმის ნახევარი ქალაქი. დიდ-ძალი ხალხი მომკვდარა და დაჭრილა. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მიგვიღია, რადგან ტელეგრაფის ძაფები დაგლეჯილიაო.

—

**ინგლისი.** ლონდონიდამ იწერებიან 8 ივლისს: დეპუტატთა პალატაში გარლეზს გამოუცხადებია, რომ ის შემოიტანს კითხვას, იცის გარკურმა, ლონდონში რომ რევოლიუციონერების კრება არის, რომელთაც 6 ივლისს სახალხო ყრილობა ჰქონდათ და ამ ყრილობაზე ყველა ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და ჰკიცხავდენ ყველა გვარ მმართებლობას? აპირებს თუ არა მთავრობა რაიმე საშუალებების მიღებას, რომ შეაჩეროს ამ გვარი კრებები, რომელნიც საშიშია საზოგადოების მშვიდობიანობისათვის თუ არა?

— **ნოვოე ვრემიას** მიუღია 6 ივლისს ლონდონიდამ გამოგზავნილი დეპეშა: უცხო საქმეთა მინისტრმა გრაფ გრენვილმა აცნობა გერმანიის და ავსტრიის ელჩებს, რომ ინგლისი ნებას არ მისცემს საფრანგეთს ტრიპოლი დაიმორჩილოს. ინგლისი იმედოვნებს, რომ ამ საქმეში დაეხმარებიან მას სხვა სახელმწიფოებიც და საფრანგეთი ეცდება თავიდამ აიშოროს იმ გვარი საქმეები აფრიკაში, რომლის შედეგი მუდამ იქნება სხვა სახელმწიფოებთან უთანხმოება, და შეიძლება შეტაკებაც მოხდესო.

— სამხრეთ საფრანგეთში ჯარების მზადების გამო აქ, ლონდონში,

---

შარა გზა ტკეცილი (სიგრძე სამს ვერსამდინ არის) ამ ჟამად ისე ნაირად არის დახრამული წყლისაგან, რომ ზოგიერთგან ურმისათვის საშიშოა გავლა. ბოგირის ქვემოდგან იწყობა წყალი და ყვარლის ბოლომდინ (ციხე-გალავანამდინ) შარა-გზაზედ მიდის და ჰხრამავს, აღრო-ჩოღროებს გზასა. ეხლა ეს გზა მდ. დურუჯის კალაპოტად არის გარდაქცეული... ფეხით ადამიანი მშრალად ვერ გაივლის. ურიგო არ იქნება, რომ ადგილობრივმა პრისტავმა ბ-მა მ. შიუკოვმა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და აქეთ-იქით გზის არხები გაასუფთავებინოს, რომ წყალმა იდინოს და გზა გასუფთავდეს.

ყვარლის ორღობეში და მეტადრე ეზოებში საშინელი უსუფთაობა და მყრალი სუნი, თვით ბაზარშიაც კი. ამას რომ დაუმატოთ ყვარლის ცხელი ჰავა,—შესაძლებელია, რომ რაიმე ცუდი ავად-მყოფობა გაჩნდეს და დააზარალოს ხალხი. ამისათვის ურიგო არ იქნება ყვარლის სანიტართა უფროსმა თ. დ. ჭავჭავაძემ სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებასა და რაც შეიძლება მალე გაასუფთავებინოს სოფელი და ეზო-ყურეები. პაცმა რომ საზოგადო საქმე იკისროს,—უნდა შეასრულოს კიდეც....

რაც აქ ბანკი დაწესდა ჯერ ანგარიში არ გამოუცხადებიათ: რა არის თავნი, მოგება, გასესხებული ან ნაღდი ფული? როგორ აწარმოებს საქმეებს ბ-ნი მელიქოვი, რომელიც ყველიაფერია ბანკისათვის? ყველა ამის შესატყობად ვურჩევ დამფუძნებელთ მოახდინონ ყრილობა და მოსთხოვონ დაწვრილებითი ანგარიში იმას, ვისთვისაც ჩაუბარებიათ ბანკის წარმოება. იქნება ბ-ნი მ. მელიქოვი საზოგადო მომჭირნე და ხალხის კეთილის მოსურნე იყოს, მაგრამ მაინც წესი ასეა ბანკისა და, ხომ იცით, ეხლანდელს დროში სრული ნდობა ძნელია და ვაი თუ საქმე სხვა ნაირათ იყოს, ბოლოს ინანებთ და გვიანღა იქნება.

ყვარლის შარა გზაზედ კალოებია. ყველაზედ მომეტებული ხალხი ამ გზაზედ დაიარება და სალამოთი მტვერისაგან თითქმის შეუძლებელია აქ გავლა. კარგი იქნება, რომ ბ-მა პრისტავმა და თ. დ. ჭავჭავაძემ მოაშლევინონ აქ კალო ყველას და სოფელს გარედ გადაატანინონ. თვით თ. გ. ჭავ—ძესაც სოფლადა აქვს კალო და ყველანი თავადნი და გლეხნი ამ შემთხვევაში ერთს კანონს უნდა ემორჩილებოდნენ. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხათრი, თავაზი და შიში, თანამდებობის აღმასრულებელმა სახეში არ უნდა მიიღოს...

თუმცა ცოტა ხანია რაც თანამდებობაშია აქაური ახალი მამასახლისი, მაგრამ ეხლავე ეტყობა, რომ იგია თავისის ამომრჩეველთა დამცველი და პატრონი, სიმართლის მოყვარე. ვაჭრებმა ეხლავე იგრძნეს ამისი სუსხი და დაფაცურდნენ: უნდათ ამისი გაცრუება, მაგრამ, იმედია, მამასახლისი თავის სინიდისს და ხალხს არ უღალატებს. ამან ყვარლის ვაჭრებს ისეთი ზომიერი ტაქსა დაუდგინა, რომ თელავშიაც სანატრელია. ნაკლები გირები უპოვნა ზოგიერთს ვაჭრებსა და მაზრის უფროსთან წარადგინა; გამოუწყო ყველას აგრეთვე საწყაოები, ღვინისა თუ პურისა და ბევრს დაუბეჭდა. ვინც ტაქსაზედ არ გაჰყიდის,—ჯარიმა დანიშნა და შეუსრულებლად ნაცვალი, ან გზირი ჰყავს ყოველთვის ბაზარში დაყენებული. ვინც ტაქსაზედ არ გაჰყიდის,—მამასახლისმა აღუთქვა გასტუმრება. დაიწყო საქმე პატიოსნურად და პატიოსნადაც დააბოლოვებს. იმედია, რომ ყვარლის მამასახლისი არ დაივიწყებს, რომ იგი ამორჩეულია ხალხისაგან და უწინამძღოლებს იმას, ვინც მიანდო მას თვისი ბედ-იღბალი. თუმცა ეხლანდელს მამასახლისს ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ რა იქნება: როდესაც კაცი სინიდისიანად ასრულებს თვის საქმესა, მტერი ბევრს ვერასფერს დააკლებს.

მათვალიერებელი მგზავრი.

ყვარელი, 26-ს თიბათვეს.

ძლიერ დაფიქრებული არიან და დიდი ეჭვი აქვთ საფრანგეთის მთავრობის მომავალ მოქმედებაზედ.

## გაფრთხილება ზოგიერთ პირებს

ქ. ქუთაისში მე გამოვიგონე იმისთანა საშუალება, რომლითაც დიდ მდინარე წყლის სიღრმეში წისქვილის ბორბალს ადვილად ავატრიალებ. ამ საშუალებით შეიძლება რიონში, მტკვარში, ან ამაზე მომეტებულ და ნაკლებ წყლებში წისქვილებიც გაკეთდეს, ხეების სახერხი ქარხნებიც და სხვა ამ გვარები მოიწყოს იაფათ და ბეჯითად. ბორბალი იქნება წყლის სიღრმეში დამალული; კაცს შეუძლია დაინახოს მხოლოდ ბორბლის ღერძი. ბორბალი იმ ნაირათ არის მოწყობილი, რომ წყალი მას სრულიად არაფერს ავნებს.

სანამ ექსპერტებისაგან (ტეხნიკებისაგან) ჯერ პასუხი არ მიმიღია, ვაფრთხილებ იმ პირთ, რომელთაც ჩემი გამოგონილი ბორბლის ნიმუში უნახავსთ, არავინ ისარგებლოს ამ გამოგონებით; წინააღმდეგ შემთხვევაში კანონით მათ პასუხი მოეთხოვებათ.

გარლაამ დ. გაბიჩვაძე.

ქუთაისი, 11 ივლისს 1881 წ.

# განცხადებანი

## გამასესხებელის კასსიდან

გრიგოლ გარამოვისა და კომპ., ქუთაისში ამით ცხადდება, რომელ ორშაბათს 10-ს აგვისტოს ამა წლისს დილის 10 საათიდან, განისყიდება ამა კასსის წინ, ქალაქის აუკციონისტების ხელით ის გირაოები, რომელნიც არ დაუხსნიათ კასსიდგან ვადის ორის თვის ლგოტის შემდეგ: ოქროსი, ვერცხლისა, ბრილიანტისა და სხვა ნივთები.

(7—2)

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — | 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — | 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — | 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — | 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო | 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით.

(100—16)

## ინგლისის მაღაზიაში

**მოსახურავი** 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ.; ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვაზნები და სხვა.

(20—19)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

## იაფად ისყიდება მამული

თ. მიხეილ რევაზის-ძის ნიჟარამისა სოფ. ოფიშკვეთში, 15 ვერსზე ქუთაისიდამ, ორეტაჟიანი სახლი, ვენახი და სახნავ-სათესი ადგილები.

ამ მამულზე ბანკის ვალია 400 მან. მსურველს შეუძლიან მიმართოს ქუთაისში პეტრე ტროფიმის-ძეს გორდიევსკის, რომელსაც მინდობილი ავვს ხსენებულ მამულის გასყიდვა.

ესევე მამული დანიშნულია გასასყიდლად აგრეთვე ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკისაგან და ვადა გასყიდვისა გამოცხადებულია გაზ. „კავკაზში“.

(5—5) პ. გორდიევსკი.

გამოვიდა და ისყიდება
ცენტრალ-წიგნის მაღაზიაში ბულვარზე და გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურზე, ბაღის პირდაპირ:

ალექსანდრე

## ჭავჭავაძის

ლექსები

ნაწილი პირველი.

ფასი ექვსი შაური.

იქვე ისყიდება:

ლექსნი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.

ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.

ქართული ანდაზები. ფასი ორი შაური.

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.

გრიგოლ ორბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.

დავითიანი (გურამიანი), თქმული დავით გურამისშვილისა. ფასი ერთი მანეთი.

კაცია-ადამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი.

(5—4)

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოლნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—97)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავგენტო პარნსპის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

(100—79)

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(150—143)

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვაზნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პალტოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბომაზეი 1 მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის.

(15—13)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა **ინგლისის მაღაზიაში** 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.

(100—12)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

## თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცელილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამუელ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვავნას გიარები.

(100—98)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

Съ 1-го іюля по 1-ое января 1882 года на ежедневную газету

**„ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“**

(четвертый годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисѣ, съ доставкою на домъ 2 руб.
Иногороднымъ съ пересылкою. . . . 4 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, на Дворцовой ул., въ домѣ Сараджева, съ 7-ми утра до 8-ми часовъ вечера.

(12—10)

Дозволено цензурою [illegible] Іюля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი